კომპანიის მხრიდან „სიახლეების გამოწერის“ დადასტურების შემთხვევაში თქვენ ეთანხმებით, რომ **შპს „ორიენტ ლოჯიკმა“** (შემდგომში მონაცემთა დამმუშავებელი- ს/ნ: 202052054; იურ მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. გოძიაშვილის ქ., N71; ალტ მის: ქ. თბილისი, გ. დანელიას ქ. N4, ტელ: +995 (032) 2 54 18 18; ელ. ფოსტა: Info@ol.ge) დაამუშაოს თქვენს მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები- სახელი, გვარი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, კონკრეტულ კურსზე რეგისტრაციისათვის, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, მისი გაადვილების, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის, კომპანიაზე მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისა და თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნებით.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებით, საფუძვლებითა და წესით.

რეგისტრაციისას ინფორმაციის მოწოდება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოვახდენთ თქვენთვის შესაბამისი სერვისის მოწოდებას.

იმ შემთხვევაში თუ თქვენ დარეგისტრირდებით კონკრეტულ კურსზე და მას გაივლით თქვენი სარეგისტრაციო მონაცემები შეინახება კურსის მიმდინარეობის განმავლობაში და მისი დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში (ვადის გამოანგარიშებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესი). ხოლო თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება კურსის გავლა და მხოლოდ დარეგისტრირდებით კონკრეტულ კურსზე, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების მიზნებით თქვენი სარეგისტრაციო მონაცემები შეინახება ششესაბამისი კურსის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში.

კომპანია უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღებული პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაცემების დაცვას, ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ კომპანიის მიერ მიღებული ინფორმაციის გადაცემა დაუშვებელია ნებისმიერი მესამე პირებისათვის შესაბამისი სასამართლო განჩინების ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე.

თითოეულ მონაცემთა სუბიექტს საქართველოს კანონით პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ აქვს შემდეგი უფლებები: მისი პერსონალური (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) ინფორმაციის მიღების უფლება, მონაცემების გაცნობისა და ასლის მიღების უფლება; მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება; მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება; მონაცემთა დაბლოკვის უფლება; მონაცემთა გადატანის უფლება; თანხმობის გამოხმობის უფლება; გასაჩივრების უფლება. ასევე თქვენთვის საინტერესო საკითხებზე ან/და თქვენი ნებისმიერი (მათ შორის ზ/ა) უფლებების რეალიზების მიზნით მოგვმართეთ ზემოთ აღნიშნულ კომპანიის საკონტაქტო არხებზე.

კომპანიას ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელსაც მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მიმართოს განცხადებით, მისი პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებების რეალიზების მიზნით მის მეილზე წერილობით, ოფიცერი მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნაზე, მიმართვიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გასცემს პასუხს, ოფიცრის მონაცემები: - გიორგი შერმადინი, საკონტაქტო მეილი legal@safco.ge.ტელ: 511 155 154.